№ 247
ოთხშაბათი, 18 ნოემბერი, 1898 წ

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10—	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1898

ივერია

№ 247
ოთხშაბათი, 18 ნოემბერი, 1898 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 19 ნოემბერს,
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასისაგან
წარმოდგენილი იქმნება

I

— პირველად განახლების შემდეგ —

ალერსთა ბადე

კომედ. 4 მოქმ. გადმოქართულებული პ. უმიკაშვილისაგან.

დასასრულ

დემონი

ერთი სცენა ლერმონტოვის პოემიდგან, თარგმ. თ. მამ. გურიელისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი დაკლებულია. დასაწყისი სწორედ 8 საათზედ

რეჟისორი **ვ. აბაშიძე** და **კ. მესხი.**

მოკლე ხანში დანიშნულია კ. მესხის ბენეფისი.

ცენტრალურ წიგნის მაღაზიამ
მიიღო გასასყიდად

კაპიტალი

კარლ მარქსისა

სტრუვეს მიერ ნათარგმნი.
(5—136—1)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ს. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. ბრონტასეკიჩი—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ა. შ. კარაშეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ს. გ. გურკო. 1¼—2¼ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

სადამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. ნ. შეაკოვსკი—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

ბ. ს. ნავასარდიანი—6½—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტეროლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову
(წ)

ფელეტონი

საპარლამენტო არჩევანები პრუსიაში.

(წერილი გერმანიიდგან)
(ხაკუთარის კორესპონდენტისაგან)

იქნება მკითხველმა იცოდეს (და იქნება არც-კი იცოდეს), რომ პრუსიის პარლამენტი, ანუ როგორც აქ ეძახიან, ლანდტაგი, ორის პალატისაგან შესდგება. პირველს პალატას ეწოდება ბატონთა პალატა (Herrenhaus), ხოლო მეორეს-კი—დეპუტატთა პალატა (Abgeordnetenhaus) და შესდგება ხალხში არჩეულ დეპუტატებისაგან. პირველს პალატაში დეპუტატებს ადგილი არა აქვთ,—იქ მხოლოდ „ბატონები“ სხედან. ეს „ბატონები“ ზოგნი პალატის მუდმივნი წევრნი არიან, ე. ი. მათის წევრობის ხარისხი და უფლება შთამომავლობისაგან შთამომავლობაზედ გადადის. ამიტომ მათ შთამომავლობითი წევრები (erbliche Mitglieder) ეწოდებათ. ზოგნიც, ვიდრე სცხოვრობენ, მხოლოდ იმ დრომდე ითვლებიან წევრებად და მათის წევრობის უფლება შთამომავლობაზედ აღარ გადადის. ამათი, ე. ი. არა შთამომავლობითი წევრების რიცხვი განსაზღვრული არაა. დღეს დღეობით ყველა „ბატონთა“ რიცხვი 275-ია; აქედგან 66 მუდმივია, შთამომავლობითი წევრია და 209 არა მუდმივნი, რომელნიც თვით მეფისაგან არიან დანიშნულნი. მათის რიცხვის გამრავლება მეფის სურვილისაგან არის დამოკიდებული. „ბატონები“ სულ გრაფები და დიდ მემამულეები არიან. ამიტომაც „ბატონებად“ იწოდებიან. თვით პალატა მუდმივია, ე. ი. მისი დაშლა და ხელ ახალის შედგენა მეფეს, კონსტიტუციის ძალით, არ შეუძლიან. და აქ, მართალი რომ სთქვას კაცმა, შესადგენ-ასარჩევიც არაფერია. მუდმივი წევრები, კანონის ძალით, მუდამ არიან წევრებად. ხოლო სხვები, თუმცა მეფისაგან არჩეულნი და დანიშნულნი არიან, სანამ სცოცხლობენ, წევრებად ითვლებიან და ამიტომ მათი გამოცვლა აღარ შეიძლება. ერთის შეხედვით, თითქოს ამით მეფის უფლება შეკვეცილად მოსჩანს. მაგრამ ნამდვილად ეს შეკვეცა მხოლოდ ფორმალურია. მეფეს არას დროს არ უხდება „ბატონების“ პალატასთან შეტაკება, რომ მან მისის წევრების დათხოვნა მოინდომოს. „ბატონთა“ პალატა მუდამ მეფის სურვილის გამომხატველი და დამცველია, ასე რომ ამ პალატის არსებობა ნამდვილად ხელს არ უშლის მეფის უფლებას.

სულ სხვა საქმეა დეპუტატთა პალატა. ამ პალატის ნება დაურთველად მთავრობა სახელმწიფო ფულს ვერ დაჰხარჯავს, გადასახადს ვერ გააწერს, ახალს კანონს ვერ შეჰქმნის, ძველს ვერ მოსპობს. ერთის სიტყვით, დეპუტატთა პალატა, ვითარცა პარლამენტი, კანონ-მდებელი დაწესებულებაა. მაგრამ, როგორც ვთქვით, პარლამენტს შეადგენენ ბატონებიც. ამათს პირველს პალატასაც ისეთივე კანონ-მდებლობითი უფლება აქვს, როგორც დეპუტატების მეორე პალატას. ამიტომ კანონის შესაქმნელად მარტო დეპუტატთა სურვილი არა კმარა. ამისთვის საჭიროა, რომ მას „ბატონთა“ პალატაც დაეთანხმოს. როცა ორივე პალატა ერთმანეთთან შეთანხმდება ესა თუ ის გარდაწყვეტილებაც სისრულეში მოვა და კანონის ძალას მიიღებს. თვისდათავად არც ერთს პალატას მარტო რაიმე სავალდებულო გარდაწვეტილების მიღება არ შეუძლიან. რასაც ორივე პალატა გადასწყვეტს, ის მთავრობისთვის სავალდებულოდ შესასრულებელია. ამ სახით საპარლამენტო დაწესებულება პრუსიაშიაც მეფის უფლების შემზღუდველია. ის, რასაც დეპუტატთა პალატა უარ-ჰყოფს და არ მიიღებს, მეფეს არ შეუძლია კანონად გამოაცხადოს და მოქალაქეთა სავალდებულოდ გახადოს. მხოლოდ მეფეს აქვს უფლება, თუ ჰსურს, მოწინააღმდეგე და ურჩი დეპუტატთა პალატა დაითხოვოს და ახალი არჩევნები მოახდინოს. ამ უფლებას აქ მეფე თითქმის არასდროს არა ჰხმარობს. პრუსიის საპარლამენტო წეს-წყობილება ისეთი médiocrité-ა, რომ მთავრობასა და პალატის გრაფებსაც სრულიად არხეინად და შეუშფოთებლად შეუძლიათ ყოფნა. ტახტსა და პარლამენტს შორის შეტაკება არ ჰხდება და ამის შედეგად აღარც შემდგარის პარლამენტის დაშლა-დათხოვნაა. დაშლა იმას ჰქვია, როცა პარლამენტს ვადამდის დაითხოვენ და ახალს არჩევანებს მოახდენენ. ვადა-კი ყოველის ახლად შემდგარის პარლამენტისა აქ ხუთი წელიწადია. პარლამენტის წევრებად დეპუტატები ხუთის წლით ირჩევიან. 1888 წლამდის ხუთის მაგივრად სამის წლის ვადა იყო. მაგრამ ამ წელს რეაქციონურმა უმრავლესობამ ეს ვადა სამიდგან ხუთს წელიწადზედ გასჭიმა,—რაო და: ხშირად არჩევნების მოხდენით ხალხი იღლება, იქანცებაო... პრუსიის უკანასკნელი პარლამენტი (ე. ი. დეპუტატთა პალატა) 1893 წელს იქმნა არჩეული. მისი კანონმდებლობითი პერიოდი წრეულს დასრულდა. ამ თვის სამს ხელ-ახლად მოხდა არჩევნები და ახალი პარლამენტი შესდგა.

შესდგა მშვიდად, წყნარად, შეუშფოთებლად... საზოგადოდ ევროპაში საპარლამენტო არჩევნები ერთს დიდს გაცხარებულს ბრძოლას წარმოადგენს. ასეა აქაც სარეიხსტაგო არჩევნების დროს. დასი დასს ეჯახება, აზრი-აზრს, ქადაგებისათვის მილიონობით ფული იხარჯება, უთვალავი კრება და მიტინგი იმართება. ერთის სიტყვით, ნამდვილი წოდებათა ომია, მაგრამ ომი არა ხმალით, დეპეშებით, არამედ პრინციპით, იდეით, აზრით, მიმართულებით. ყველას ნერვები დაჭიმულია. მთელის ერის სალაპარაკო საგანი ამ დროს არჩევანებია. პრუსიის პარლამენტის არჩევანები? ეს რეიხსტაგის არჩევანების სრულს წინააღმდეგობას წარმოადგენდა. აქ არ იყო არც ქადაგება, არც დასთა შეტაკება, არ იყო არც სიცხოვლე ჯ არც საზოგადო ინტერესი. საარჩევანო ამბები გაზეთების მეოთხე გვერდზედ იბეჭდებოდა. ორიოდე პროკლამაცია თუ გამოდიოდა, ისიც თითქოს გარეგნობის გულისათვის. ხალხს მოძრაობა და არჩევნების ინტერესი სრულიად არ ეტყობოდა. ის ის შესაჭეროდა არჩევნებს, თითქოს ეს მისი საქმე, მისის უფლების კითხვა არ ყოფილიყოს.

ვინც არ იცის პრუსიის საარჩევანო წესები, უეჭველია ეს გარემოება უცნაურად მოეჩვენება. ხალხი, რომელიც სარეიხსტაგო არჩევნების დროს დღე და ღამ მოუსვენრად არის და სადასო ბრძოლაში გაცხარებულ მონაწილეობას იღებს, სწორედ იგივე ხალხი პრუსიის პარლამენტის შესადგენად ერთს თითსაც კი ერ გასძრავს და პარლამენტის შედგენას აინუნშიაც არ იგდებს ხოლმე. მაგრამ ხალხის ასეთის გულგრილობისა და ინტერეს-მოკლებულობის ამხსნელი ამ შემთხვევაში აქაური საარჩევანო კანონ-მდებლობაა. საქმე ის არის, რომ პრუსიის პარლამენტი მხოლოდ სახელს ატარებს ხალხისას; სხვა მას ხალხის არა გააჩნია-რა, ტად ძნელად დასაჯერებელია, რომ ან საფრანგეთმა, ან რუსეთმა ინგლისთან ერთად საქმის დაჭერა რამ მოინდომონ. ამათი ინტერესები ერთმანეთში თითქმის მოურიგებელია და მოუთავსებელი. მაშასადამე, სახეში უნდა ვიქონიოთ ერთის მხრით ინგლისი და მეორეს მხრით რუსეთი და საფრანგეთი. ამათ შუა გარემოებამ ჩააყენა გერმანია და ორივე მხარე გერმანიაზე მოახედა. ჯერ გერმანიას თავისი არ უთქვამს საით გაიწევს, ვის მიემხრობა. ხოლო ეს კია, რომ გერმანია ერთი იმისთანა სახელმწიფოა დღეს, რომელსაც ინგლისი როგორც აფრიკაში, ისეც ჩინეთში ადვილად მოურიგდება, ვიდრე სხვას.

ინგლისის მინისტრის ჩამბერლენის სიტყვა, ბირმინგამში თქმული, ამისი ცხადი მანიშნებელია. ჩვენა და გერმანიას არსად ისეთი მიზეზიანი და ცხარე ინტერესები არა გვაქვსო, სთქვა ჩამბერლენმა, რომ დაგვიშალოს ერთმანეთთან მოთავსებაო. მეტის-მეტად შესანიშნავი ეს არის, რომ ჩამბერლენი ჩრდილოამერიკის შტატებთან ერთად საქმის დაჭერას თითქმის გათავებულ საქმედ სთვლის და ამასთან ეკურკურება გერმანიასაც და ფიანდაზებს უშლის ფეხთა ქვეშ. არ ვიცით, გერმანია როგორ მოექცევა ამ ფიანდაზებს, რომელსაც ასეთის წინადასწრებით ინგლისი ფეხ-ქვეშ უშ-

---

ტფილისი, 17 ნოემბერი

წინა წერილებიდამ *) სჩანს, რომ ინგლისი დღეს იმ ძლევა-მოსილს ფეხზედა სდგას, რომ შესაძლოა ან მტერი მოყვრად გადაიქციოს შიშისაგან, ან მოყვარე მტრად შურისა და ჯაბრისაგან. პირველის შემთხვევის საბუთად საკმაოა გვახსოვდეს ერთი ქართული ანდაზა, რომ ხშირად ადამიანი იმისი მაყარია, საცა ბოლი მაღალია და ამ ანდაზას ისეთი შესაფერი ადგილი არსადა აქვს, როგორც პოლიტიკაში. რაც გინდა სთქვან, ღონე და ძალა იმისთანა რამ არის, რომ იმის კალთის დაჭერას ცხვარს ზევით არავინ იცილებს თუ შესაძლებელია. ასეთია ეს წუთი-სოფელი. მეორე შემთხვევისათვის კი ამას ვიტყვით, რომ დიდ სახელიწიფოებს ეჯავრებათ, რომ ერთი მათგანი მეტის-მეტად თავში გაიწევს ხოლმე და ბძანებლობას იჩემებს, თუმცა თვითეული ცალკე სულ ამ ბძანებლობის ხელში ჩაგდებას ეპიტინება და ამის ნატვრაშია. რუსეთის შიშმა შეჰქმნა სამთა კავშირი, გერმანიის ამით გაზვიადებამ რუსეთსა და საფრანგეთს ერთი პირი შეაკვრევინა. თუ მე არა, ნურც შენო, აი თავი და ბოლო ბძანებლობისათვის მომართულ პოლიტიკისა.

რა თქმა უნდა, არც ინგლისს ჩაუვლის მუქთად და ამაოდ დღევანდელი თოფ-იარაღის ჩხარა-ჩხური და რიხიანი ქადილი, არავის გვეშინიან და ყოველ განსაცდელისათვის სამზადისში ვართო. ამ გარემოებამ ან საფრანგეთი, რუსეთი და გერმანია უნდა ერთად შეჰკრას ინგლისის საწინააღმდეგოდ, ან თვითონ ინგლისი უნდა შეეკრას ვისმე. მეტის-მეტად ძნელად დასაჯერებელია, რომ ან საფრანგეთმა, ან რუსეთმა ინგლისთან ერთად საქმის დაჭერა რამ მოინდომონ. ამათი ინტერესები ერთმანეთში თითქმის მოურიგებელია და მოუთავსებელი. მაშასადამე, სახეში უნდა ვიქონიოთ ერთის მხრით ინგლისი და მეორეს მხრით რუსეთი და საფრანგეთი. ამათ შუა გარემოებამ ჩააყენა გერმანია და ორივე მხარე გერმანიაზე მოახედა. ჯერ გერმანიას თავისი არ უთქვამს საით გაიწევს, ვის მიემხრობა. ხოლო ეს კია, რომ გერმანია ერთი იმისთანა სახელმწიფოა დღეს, რომელსაც ინგლისი როგორც აფრიკაში, ისეც ჩინეთში ადვილად მოურიგდება, ვიდრე სხვას.

ინგლისის მინისტრის ჩამბერლენის სიტყვა, ბირმინგამში თქმული, ამისი ცხადი მანიშნებელია. ჩვენა და გერმანიას არსად ისეთი მიზეზიანი და ცხარე ინტერესები არა გვაქვსო, სთქვა ჩამბერლენმა, რომ დაგვიშალოს ერთმანეთთან მოთავსებაო. მეტის-მეტად შესანიშნავი ეს არის, რომ ჩამბერლენი ჩრდილოამერიკის შტატებთან ერთად საქმის დაჭერას თითქმის გათავებულ საქმედ სთვლის და ამასთან ეკურკურება გერმანიასაც და ფიანდაზებს უშლის ფეხთა ქვეშ. არ ვიცით, გერმანია როგორ მოექცევა ამ ფიანდაზებს, რომელსაც ასეთის წინადასწრებით ინგლისი ფეხ-ქვეშ უშ-

*) იხ. „ივერია“ № 246.

ლის, ეს-კი გაკვრით გაისმა გაზეთებში, ვითომც ეს ორნი სახელმწიფონი, გუშინ მტერნი აფრიკაში, დღეს იქ ერთმანეთს მხარს აძლევენ თურმე. რასაკვირველია, ეს კიდევ იმას არ მოასწავებს, რომ გერმანია და ინგლისი ჩინეთშიაც, ან სხვაგან სადმე მაგრად გულს ჩაეკრან ერთმანეთს, მაგრამ იმისი მაგალითი კია, რომ ამ წუთის-სოფელში ყველაფერი ცვალებადია და, მაშასადამე, მოსალოდნელი.

იქნება იკითხონ, თუ დღევანდელის ცილობის ასე თუ ისე გადამწყვეტელი ზღვაში ძლიერებაა, რა საჭიროა ინგლისისათვის გერმანია, რომელიც თითქმის ეხლა იჩენს საომარ ხომალდებს და გემებს და ამ მხრით არავითარს სახარბიელო ღონეს არ წარმოადგენს. ჯერ ერთი ესა, რომ სულ არარაობას ცალ-ულელი ხარი სჯობიაო და გერმანია თუნდ ერთის ხომალდითაც მიეშველოს ინგლისს, ყელში არ დაადგება. მერმე ის იქონიეთ სახეში, რომ გერმანია ერთის მხრით რუსეთს გადაჰყურებს და მეორეს მხრით საფრანგეთსა და ამისი მარტო ამრეზა ან ერთზე ან მეორეზე,—სხვას ნურას ვიტყვით,—დიდად შეაფერხებს საფრანგეთსა და რუსეთს ხმელეთზე და ამათს ძალ-ღონეს კბილს მოსჭრის საგარეოდ. შიგ ევროპაში ამრეზილი ასეთი ძლიერი სახელმწიფო, როგორიც გერმანიაა, ისე ხელგაშლით ვერ ამოქმედებს გარედ ვერც რუსეთს, ვერც საფრანგეთსა და ესეთი გარემოება დიდი რამ არის ინგლისისათვის, თუ იგი მართლა ამ ორ სახელმწიფოსათვის ემზადება გარედ გასამკლავებლად.

საფრანგეთი ჰგრძნობს, რომ ესეთი ვითარება საქმეთა იქნება თავს მოეხვიოს და რომ ძალიან არ გაუთამამდეს სადმე ინგლისი, დღეს იგიც ჰცდილობს გერმანიასთან დაახლოებას. საფრანგეთი იძულებულია თვისი მტრობა, რომელიც აქამომდე გულში ჰქონდა გერმანიასთან, დავიწყებას მისცეს და შეეურიგდეს გერმანიას. იმედი აქვთ, რომ გერმანიის იმპერატორი, რომელმაც არა ერთხელ ანიშნა ქვეყანას, რომ საფრანგეთთან შერიგებაზე შორს არ არის, გულ-მედიდობით არ მოექცევა საფრანგეთისაგან გამოწვდილს ხელს და უარის თქმით ხელახლად არ აუშლის აწ დაყუჩებულს იარას წარსულისას. რა თქმა უნდა, ელზას-ლორენის დაბრუნებას აქ ადგილი არ ექნება, ხოლო საფრანგეთი დღეს ინგლისისაგან ისე გამწარებულია, ისეთს გარემოებაშია ჩაყენებული, რომ მეტი გზა არა აქვს, ელზას-ლორენის საქმეს უნდა გაუჩუმდეს, ოღონდ ინგლისს-კი მშვილდი ძირს დაადებინოს. თუ ესეა, ადვილი საფიქრებელია, რომ დღევანდელი მტერ-მოყვრობა, დღევანდელი კავშირ-ზავობა სულ ძირიანად დაირღვეს და ახალი ამბები დავინახოთ როგორც ევროპაში, ისეც გარეგან.

მართლა და, თუ გერმანიამ და საფრანგეთმა ერთმანეთში საქმე გაისწორეს და ერთმანეთს მხარი მისცეს, ინგლისს სხვა არა დარჩება-რა, რომ ან დღემუდამ ამათის შიშქვეშ და ფერებაში იყოს, ან ამათ მიემხრას. რასაკვირველია, ეს უკანასკნელი უიმისოდ ვერ მოხდება, თუ ინგლისმა საფრანგეთის წინაშე თითი არ მოიკაკვა და მისს გამწარებულს გულს კარგი წამალი არ დასდვა. ეს იმაზე იქნება დამოკიდებული—ვისი მტერ-მოყვრობა უფრო იაფად დაუჯდება. ვინ უფრო მისთვის საშიშარია საქვეყნო სარბიელზე, საფრანგეთი თუ სხვა ვინმე. ინგლისი არც გერმანიას გადაურჩება ისე, რომ თანხები რამ არ დაჰპირდეს და ხახა არ დაულბოს. ევროპაში გერმანიას, თუნდ საფრანგეთიც გაუმეგობრდეს, ბევრი რაამ აქვს არამც თუ სანატრელი, არამედ გასაფრთხილებელი. ეს საფრთხე რომ არ იყოს, გერმანია ასე წელებზე ფეხს არ დაიდგამდა ჯარუბის დღე მუდამ გაძლიერებისათვის და თვისს სახელმწიფოს ერთ უშველებელ კაზარმად არ გადააქცევდა. მარტო საფრანგეთის შიში ასე არ დაამძიმებდა გერმანიას, როგორც სხვისა შიში.

ამ სახით, დღეს საქმე იმაზეა მიმდგარი,—საით და ვისკენ გაიწევს გერმანია, რომელიც ორთავ მხარეთათვის მეტად სახარბიელოა და სანატრელი და რომელიც ამის გამო დღეს თავ-მოწონებული უნდა იყოს: ჩვენის ფიქრით, უნდა კი საითმე გაიწიოს. ორწყალშუა მისი დგომა ჭკუაში ძნელად მოსასვლელია. არა გვგონია, გერმანიამ ეს იშვიათი შემთხვევა თავისის საკუთარის ლარისა და ხაზის გასატანად ხელიდამ გაუშვას და თავისის საკუთარის გულნადებისათვის ასე თუ ისე არ გამოიყენოს. უეჭველია, გერმანიას თან ნალოსავით აეთრევა ოსმალეთიც, საცა დღეს იმპერატორის ვილჰელმის სახელმწიფოს ასეთი ხმა და პატივი აქვს, როგორიც არავისს სხვას. ადვილად გამოსაცნობია,—რისთვის და ვისთვის ხელის გულზე გაუგორდა თავ-მომწონე იმპერატორი ვილჰელმი ფადი-შაჰსა ამ უკანასკნელ ხანებში, როცა ესტუმრა და პალესტინა მოიარა. არც ის არის ძნელი გამოსარკვევი,—ესე უეცრად რად გამოეჩქარა გერმანიის იმპერატორი თავისის ქვეყნისაკენ და თავისი განზრახული მიმოვლა პალესტინაში ასე უცებ რად მოსპო შეუსრულებლად. აშკარაა, მიზეზი ამისი იმ სახარბიელო და გამოსალოდნელ ყოფა-მდგომარეობაში უნდა ვეძიოთ, რომელშიაც ჩააყენა გერმანია დღევანდელთა საქმეთა გარემოებამ და მოედანზე დიდის ქადილით გამოსვლამ ინგლისისამ ხლმის ლესვითა და თოფ-იარაღის ჩხარა-ჩხურითა.

მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ სამსახურის წელთა შესრულებისა გამო კოლეგსკი სოკეტნიკობა—ბათუმის ფოსტ-ტელეგრაფის კანტორის უფროსის თანაშემწეს მახვილაძეს; კოლეგსკი ასესორობა—ზიათურის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსს ოქროპირიძეს; —ტიტულიარნი სოკეტნიკობა ეკლესიის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ზედამხედველს თავად ვაჩნაძეს; კოლეგსკი სეკრეტრობა—ყაზბეგის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსს თოლაშვილს.

ებოძათ მედალი „გულს-მოდგინეობისათვის“ ზედწარწერით: ოქროსი: ტფილისის მაზრის სასოობო დარაჯის დისტანციის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელს აზნაურს ნიკოლოზს (იგივე კონსტანტინე) ცომაიას; ახალციხის მაზრის სასოობო დარაჯის ურიადნიკს გლეხს გრიგოლ მუსაშვილს (იგივე ნიკოშვილი); ვერცხლისა: ქუთაისის გუბერნიის პატრიკეთის საზოგადოების სოფ. ტკაჩირის გლეხს ფილიპე ჩხობაძეს. მედალი „მამაცობისათვის“ ზედწარწერით: ბორჩალოს მაზრის ბაშკიჩეთის სასოობო დარაჯის ჩაფრებს იოსებ ადუაშვილსა და მიხეილ იასონაშვილს.

ახალი ამბავი

*** ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლმა თავ. ს. გ. წერეთელმა წარუდგინა კავკასიის უმაღლესს მთავრობას თავად-აზნაურთა შუამდგომლობა ქუთაისის გუბერნიაში ნაფიც მსაჯულთა დაწესებულების შემოღების შესახებ.

*** 16 ნოემბერს ტფილისის ქალაქის საბჭომ დაადგინა: 17 ნოემბრიდგან 6 წლის განმავლობაში ყოველ წელს აძლიოს ქალაქმა 8-ნ ტფილისის პოლიცმეისტერს პოლიციის გამგეობისათვის შენობის დასაქირავებლად, მისისავე წინადადების თანახმად, 1,500 მან.

საბჭომ ამის შემდეგ განაგრძო ქალაქისა და ბელგიის უსახელო საზოგადოების შორის დასადებ ხელშეკრულობის პროექტის განხილვა ტფილისის ცხენის რგინის გზის იჯარით გაცემის შესახებ. მთელი პროექტი § 50-დგან ბოლომდე განხილულ და შეწყნარებულ იქმნა, მხოლოდ ზოგიერთი ადგილი შესწორდა და ისიც უმნიშვნელოდ.

*** შუამდგომლობაა აღძრული კავკასიის მთავარ მართებლის გენერალ-ადიუტანტის თავ. გ. ს. გოლიცინის წინაშე იმის შესახებ, რომ დაენიშნოს ფოთის სასწავლებელს 1,300 მ. ამ სასწავლებლის სასოფლო-სამეურნეო გაწყოფილების განსაკარგებლად და მოსაწყობად.

*** 15 ნოემბერს „შუამავალის“ ამხანაგობის კრება არ შესდგა, რადგანაც საკმაო რიცხვი წევრებისა არ შეიკრიბა; ამიტომ კრება 30 ნოემბრისათვის იქმნა გადადებული.

*** დღეს, 18 ნოემბერს, დანიშნულია ქალაქის საბჭოს მორიგი კრება.

*** ტფილისის ქალაქის საბჭოს ხოსანმა ნ. ა. ხუდადოვმა გადასცა გამგეობას საბჭოში წარსადგენად განცხადება იმის შესახებ, თუ როგორ და ჯერ როშელი ქუჩები უნდა მოიკირწყლოს. მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ქალაქის საბჭომ წელს დაადგინა ქალაქის ხარჯით მოკირწყლოს ქალაქის ყველა ქუჩები და მოედნები, ამასთან უბრალო ქვით უკვე მოკირწყლული ქუჩები უნდა

ხსენებული კანონმდებლობა ისე ერთ კერძოდ, ისე მიდგომით არის შექმნილი, რომ პოლიტიკურ მართვა გამგეობის საქმეში ხალხის გავლენა სრულიად გამოდევნილია. ხალხს იწვევენ, რომ წარმომადგენელი ამოირჩიოს, მაგრამ ისეთი წარმომადგენელი, როგორიც თავად-აზნაურობასა და ბურჟუაზიას უნდა. საარჩევნო წეს-რიგიც სწორედ ისეა მოწყობილი, რომ ბურთი და მოედანი შეძლებულებს რჩებათ და ხალხის ხმა და სურვილი არ გადის პოლიტიკაში. კეთილშობილი წოდება და ქალაქის ბურჟუაზია ლოცავს არსებულ საარჩევნო წეს-რიგს და ოცნებობს, რომ ეს სისტემა პრუსიის პარლამენტიდგან რეიხსტაგშიაც გადაიტანოს. თუ რეიხსტაგში რეაქცია შიშით ჰკანკალებს და თავისს დაუძლურებას დღითი-დღე ხედავს, სამაგიეროდ პრუსიის პარლამენტში იგი გამეფებულია და აღარავისი და აღარაფრისა ეშინიან.

პრუსიის „იუნკერების“ იდეალური წეს-რიგი დედა-აზრის მხრივ მეტად მარტივია. ამ წეს-რიგის ყოველის ხმის ძალა-მნიშვნელობა ქისის სიმძიმით იზომება. ვისაც პატარა ქისა აქვს, მისი ხმაც პატარაა, ხოლო ვისი ქისაც სავსეა, იმდენად მისი ხმაც დიდი და გავლენიანია. ხოლო რადგან ეხლანდელს დროში უმრავლესობა ჯიბესთან მწყრალადაა, ცხადია, არჩევნებმაც უმცირესობისთვის სასურველი შედეგი უნდა მოიტანოს და აქაურის ქალაქის ბურჟუაზია და სოფლის „იუნკერი“ აბატონოს.

მაგრამ რამდენადაც ეს დედა-აზრი მარტივია, იმდენად თვით დედა-აზრის სისრულეში მოყვანის წეს-რიგი რთული და დახლართულია. კანონის ძალით, ყოველ 24 წლის პრუსიელს მამაკაცს, რომელსაც სასამართლოს განაჩენით მოქალაქის უფლება არ დაუკარგავს, უფლება აქვს არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს. მხოლოდ ის არ არის პირდაპირ ამომრჩეველი, ე. ი. ის აძლევს კენჭს არა პირდაპირ დეპუტატად დასახელებულ კანდიდატს, არამედ კანდიდატისთვის ხმის მომცემს, დეპუტატის ამომრჩევს. ისინ, ასე ვთქვათ, შუამავალს ირჩევს. ამ „შუამავლის“ ამომრჩეველს აქ Urwàhler-ს (პირველ ამომრჩეველს) ეძახიან. ხოლო „შუამავალს“, დეპუტატის ამომრჩეველს, —Wahlmann-ს, ამომრჩეველს მოკლედ. ამგვარად ხალხი ამომრჩევლებს აირჩევს და შემდეგ ეს უკანასკნელები პირდაპირ საპარლამენტო დეპუტატებს აირჩევენ ხოლმე. ამომრჩევლების არჩევანს აქ დაწყებით ანუ პირველ არჩევანს (Urwahl) ეძახიან *). ამ პირველ არჩევანში მონაწილე ხალხია, ხოლო მეორეში-კი, რაც დეპუტატებს არჩევენ,—მარტო ამისათვის ამორჩეული ამომრჩევლები. ამომრჩევლების ასარჩევად ხალხი სამ კლასად არის დაყოფილი და ამიტომ თვით საარჩევნო წეს-რიგსაც სამკლასოვანი სისტემა (Dreiklassensystem) ეწოდება. თითოეული კაცის ამა თუ იმ კლასში მოქცევა უმთავრესად იმაზედ გაწერილ პირდაპირ გადასახადის რაოდენობისაგან არის დამოკიდებული. არჩევნებამდე მთავრობა ადგენს თითოეულ საარჩევნო ოლქში საარჩევნო უფლების მქონეთა სიას და ამ სიაში თითოეულის სახელთან ინიშნება მისი პირდაპირის გარდასახადის რაოდენობა. პრუსიაში ღარიბი ხალხი საზოგადოდ პირდაპირის გრადასახადისაგან განთავისუფლებულია. ვისაც წლიურად 900 მარკაზე ნაკლები შემოსავალი აქვს, პირდაპირ გარდასახადს არ იხდის. ასეთ კაცთ სიაში „ანგარიშისათვის“ 3 მარკა ეწერებათ, ვითომ ისინი სამ-სამის მარკის გარდამხდელები იყვნენ. შემდეგ ყოველ ასე აღნიშნულ გარდასახადის საერთო ჯამი შედგება; ჯამი სამად გაიყოფა და—სამი კლასიც წარმომდგარია: კლასი პირველი, მეორე და მესამე. თითოეულს კლასს თანასწორი ხმა აქვს; ამის უფრო კარგა გასაგებად მოვიხსენიებთ მაკალითს. ვთქვათ, ერთს საარჩევნო მაზრაში (საარჩევნო ოლქები მაზრებადაა დაყოფილი) პირველ ამომრჩეველთა რიცხვი 3050-არის. ამაოშორის, ვთქვათ, ერთი დიდი კაპიტალისტია, ქარხნებისა და მადნების პატრონია და ამიტომ, თვისის დიდის შემოსავლის გამო, სახელმწიფო გადასახადსაც მეტს იხდის. იგი 21000 მარკის გარდამხდელია. შემდეგ არის 10 უფრო ნაკლების შეძლებისა, მაგრამ ყოველს შემთხვევაში მდიდარი კაცი, რომელთაგანაც თითოეული 3000 მარკას იხდის; ბოლოს 3000 ადამიანი, რომლებსაც სიაში სამი მარკა გადასახადი აქვთ აღნიშნული. რადგან ყველას გარდასახადის ჯამი 60000 მარკა და ეს სამზედ უნდა გაიყოს, თითოეულს კლასს 20000 მარკა ერგება. ამ სახით პირველი კაპიტალისტი მარტო პირველს კლასში მოვა; მეორე კლასში სამი ათასის გადამხდელთაგან 7 კაცი, და დანარჩენი უმრავლესობა ე. ი. სამიათას მარკიანი და სამი ათასი სული სამ მარკიანი—მესამე კლასში. ამ განაწილების თანახმად ერთს კაცს, პირველს კლასში, იმდენი ხმა აქვს, რამდენიც 3003 კაცს მესამე კლასში. ხოლო პირველ და მეორე კლასს ერთად ე. ი. ამ შემთხვევაში რვა ადამიანს, ორჯელ იმდენი ხმა, რამდენიც მესამე კლასის 3003 ადამიანს. ხალხის ამგვარად დაყოფვას ბრიდგან 6 წლის განმავლობაში ყოველ წელს აძლიოს ქალაქმა 8-ნ ტფილისის პოლიცმეისტერს პოლიციის გამგეობისათვის შენობის დასაქირავებლად, მისისავე წინადადების თანახმად, 1,500 მან.

საბჭომ ამის შემდეგ განაგრძო ქალაქისა და ბელგიის უსახელო საზოგადოების შორის დასადებ ხელშეკრულობის პროექტის განხილვა ტფილისის ცხენის რგინის გზის იჯარით გაცემის შესახებ. მთელი პროექტი § 50-დგან ბოლომდე განხილულ და შეწყნარებულ იქმნა, მხოლოდ ზოგიერთი ადგილი შესწორდა და ისიც უმნიშვნელოდ.

*** შუამდგომლობაა აღძრული კავკასიის მთავარ მართებლის გენერალ-ადიუტანტის თავ. გ. ს. გოლიცინის წინაშე იმის შესახებ, რომ დაენიშნოს ფოთის სასწავლებელს 1,300 მ. ამ სასწავლებლის სასოფლო-სამეურნეო გაწყოფილების განსაკარგებლად და მოსაწყობად.

*** 15 ნოემბერს „შუამავალის“ ამხანაგობის კრება არ შესდგა, რადგანაც საკმაო რიცხვი წევრებისა არ შეიკრიბა; ამიტომ კრება 30 ნოემბრისათვის იქმნა გადადებული.

*** დღეს, 18 ნოემბერს, დანიშნულია ქალაქის საბჭოს მორიგი კრება.

*** ტფილისის ქალაქის საბჭოს ხოსანმა ნ. ა. ხუდადოვმა გადასცა გამგეობას საბჭოში წარსადგენად განცხადება იმის შესახებ, თუ როგორ და ჯერ როშელი ქუჩები უნდა მოიკირწყლოს. მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ქალაქის საბჭომ წელს დაადგინა ქალაქის ხარჯით მოკირწყლოს ქალაქის ყველა ქუჩები და მოედნები, ამასთან უბრალო ქვით უკვე მოკირწყლული ქუჩები უნდა

---

*) მკითხველთან ბევრი ბოდიში, რომ ასე ჩქარა გამოსათქმელსავით ირევა აქ „ამომრჩეველი“ „არჩევანი“ „პირველი ამომრჩეველი“, „ამომრჩევლების არჩევანი“ და სხვ. მაგრამ რა ვუყოთ, ჩვენი ბრალი არაა: პრუსიელ ბურჟუაზიის გამჭრიახობის ნაყოფი ნამდვილად კიდევ უფრო დახლართულია. ჩვენ აქ მხოლოდ უმთავრეს დამახასითებელს თვისებებს ვიხსენიებთ.

ეძახის პრუსიის „იუნკერი“ იდეალურს წეს-რიგს.

იქნება მკითხველმა იფიქროს, რომ აქ ჩვენ მიერ მოხსენებული მაგალითი მხოლოდ საგნის ასახსნელად იყოს მოყვანილი და სინამდვილეს არ ეთანხმებოდეს. ასეთი ფიქრი შეცდომა იქნება. პრუსიის საარჩევნო მაზრებში (Wahlbezirke) ხშირია ასეთი მოვლენა, რომ პირველს კლასში ამომრჩეველი მხოლოდ ერთი ვინმე ბანკირია, მეორე კლასში ათიოდე მდიდარი კაცი, ხოლო მესამეში მდაბიო ხალხი ასობითა და ათასობით. მაგალითად, ჰალეს ერთი საარჩევნო მაზრა 1893 წ. ამ გვარად იყო განაწილებული: პირველ კლასში ერთი ამომრჩეველი იყო, მეორეში—6, ხოლო მესამეში—269. მთელს პრუსიაში ხსენებულს წელს ამომრჩეველთა (ე. ი. პირველ ამომრჩეველთა) რიცხვი 5.989,539 იყოს. აქედან პირველს კლასს ეკუთვნოდა 210759 ანუ 3,52%, მეორე კლასს 722,633, ანუ 12,06%, ხოლო მესამე კლასს 5.056,146, ანუ 84,42%. ამგვარად 210 ათს კაცს პირველ კლასში იმდენი ხმა ჰქონდა, რამდენიც ხუთ მილიონს მესამე კლასში. ხოლო პირველისა და მეორე კლასის 900 ათს კაცს ერთად ორჯელ მეტი ხმა, ვიდრე მესამე კლასის ხუთ მილიონს.

(დასასრული იქნება)

მოიკირწყლოს საუკეთესო ქვით. იხსენიებს რა ამ გარდაწყვეტილებას თავისს განცხადებაში, ბ-ნი ხუდადოვი ამბობს, რომ თვით-მართველობა ერთნაირად უნდა მოექცეს ქალაქის ყველა ქუჩის მოკირწყვლის საქმეს, ამიტომ, ვიდრე ქალაქის განაპირა ქუჩები ისეთისავე ქვით არ იქმნება მოკირწყლული, როგორითაც არის დანარჩენი, ქალაქმა საუკეთესო ქვით მოკირწყვლისათვის არც-კი უნდა იფიქროსო. ხუდადოვი ურჩევს საბჭოს, ის თანხა, რაც გადადებულ იქმნა უკვე მოკირწყლულ ქუჩების ხელ-ახლად მოსაკირწყლავად, მოახმაროს იმ ქუჩებს, სადაც ჯერ ქვა არ არის დაფენილი; ხოლო საუკეთესო ქვით მოკირწყვლას მაშინ შეუდგეს, როდესაც ყველა ქუჩები მოიკირწყლებაო.

⁂ 20 ნოემბერს, საღამოს 8 საათზედ, ტფილისის ოლქის სასამართლოს სადგომში კრება ექმნება კავკასიის იურიდიულ საზოგადოებას. კრებამ უნდა მოისმინოს ანგარიშები ხაზინადრის ი. კ. სავიცკისა, მეწიგნთ-საცავის ა. ი. მიტკევიჩისა და მდივნის ა. ს. ფრენკელისა და უნდა აირჩიოს თანამდებობის კაცნი $189^{8}/_{9}$ წლისათვის. ამავე კრებაზედ ო. ი. ფელდმანი წაიკითხავს რეფერატს: „ჰიპნოტიზმი და შთაგონება სამართალში“.

⁂ 16 ნოემბერს სამოსამართლო პალატამ უკვე განიხილა საქმე სერგეი მილილოვისა, რომელსაც ის ბრალი ედებოდა, რომ 1891 და 1892 წლებში სხვათა შემწეობით უკვე ფას-გარდახდილის თამასუქით სცდილობდა ფულის ხელ-ახლად აღებას. ეს თამასუქი 1884 წლ. 26 აპრილს გრიგოლ მირზოევს მიეცა ალექსანდრე თამამშევისათვის. მირზოევს ვალი გაესტუმრებინა და თამასუქი მიეღო, მაგრამ შემდეგ იგი როგორღაც დაჰკარგოდა. სამოსამართლო პალატამ დამნაშავედ სცნო მილილოვი და მიუსაჯა ყველა უფლებათა და უპირატესობათა ჩამორთმევა და სამის თვითა და 16 დღით საპყრობილეში დაპატიმრება.

⁂ მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ 11 ნოემბერს ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის სესსიამ ახალციხეში დაასრულა მეფისაშვილის საქმის განხილვა და მართლად იცნო როგორც თკით მიხეილ მეფისაშვილი, აგრეთვე სხვა ბრალდებულნი, რომელთაც ივანე მეფისაშვილის მოკვლა ჰბრალდებოდათ. როგორც შევიტყეთ, განაჩენის გამოქვეყნების შემდეგ ბრალმდებელის ამხანაგმა მოსკალევმა განაცხადა თუ, რომ მე ამ გარდაწყვეტილების თანახმა არა ვარ და გთხოვთ, რომ მიხეილ მეფისაშვილი დაუყოვნებლივ დაპატიმრებულ იქმნასო და რომ განაჩენი, რომლითაც გამართლებულია მეფისაშვილი და სხვანი, დადგენილია ორის წევრის ხმის უმეტესობით, რადგან მესამე წევრად მყოფი გამომძიებელი რუბანი არ დაეთანხმა იმათს აზრსაო.

⁂ ქ. გორში შესდგა სასანიტარო კომისია, რომლის წევრებ-დაც დანიშულ იქმნენ: მაზრის ექიმის თანამდებობის აღმასრულებელი ციხკარაშვილი, ი. ე. საკოვი, ა. ი. ანდრონიკაშვილი, ი. ი. ნატროშვილი, ს. ი. ბარამოვი, მ. ფ. ხუდადოვი, რ. დ. ლოლაძე, ნ. ი. ბაზიერაშვილი, ს. ზ. ლამბაროვი, ა. გ. ჩარუევი, გ. რ. რომანოვი.

⁂ მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ტფილისის ქალაქის საბჭომ ამ ახლო მომავალში უნდა აირჩიოს გამგეობის ორი წევრი ბ-ნთ ივანენკოსა და ვერმიშევის ნაცვლად, რომელნიც მთავარ-მართებლის განკარგულებით დათხოვნილ იქმნენ. კანდიდატებად ამ თანამდებობაზედ, გაზ. „ახ. მიმ.“-ს სიტყვით, ასახელებენ ხმოსნებს ა. ს. ბაბოვს, თავ. ა. ი. ბებუთოვს და მ. ს. შესტაკოვს და საბჭოს მდივანს ს. თ. ჭრელაშვილს. არც ერთს მათგანს ყუთის დადგმის თანხმობა არ განუცხადებია.

⁂ რუსულის გაზეთების სიტყვით, ტფილისში ჩამოვიდნენ გერმანელი კაპიტალისტები, რომელთაც აზრადა აქვთ გამართონ აქ ბამბის თესლისაგან ზეთის გამოსახდელი ქარხანა. დღემდის ამ თესლს საქონლის საკვებად ხმარობდნენ.

⁂ გაზ. „ახ. მიმ.“-ს სიტყვით, ბათუმის ოლქის ქვემო-აჭარის ნაწილის უფროსი შერვაშიძე და იმის საქმის-მწარმოებელი დოღობერიძე თანდებობას თავს ანებებენ.

⁂ ვისატ-კი ავღანარში კასეთის მოედანზედ გაუღია, უეჭველად შეამჩნევდა მრავალს ფარდულს, სადაც სხვა და სხვა ხილეულობითა და სანოვაგით ვაჭრობენ. ეს ფარდულები არამც თუ ხელს უშლის ეტლების თავისუფლად მოძრაობას, არამედ იმათი წუალობით მოედანი ეოგელთვის უსუფთაოა. ბოლიციამ ამას წინად კაჭრებს ორის კვირის კადა დაუნიშნა ამ მოედანის გასასუფთავებლად, მაგრამ ბრძანება შეუსრულებელი დარჩა. ამიტომ 15 ნოემბერს, ბოლიციის ბოქაულის განკარგულებით გაუქმებულ იქმნა ყველა ის ფარდული, გარდა იმათი, რომელნიც ქალაქს კეკუთვნის.

⁂ გაზ. „კავ.“-ს სწერენ, რომ ტფილისის მაზრაში უძოს მახლობლად, წავკისის გზაზედ მიმავალს სოფ. პატარა-თონეთის მცხოვრებს დავით თეთრაძეს თავს დაეცა ორი თათარი, თათრებს წაურთმევიათ თეთრაძისათვის ცხენი და ცხრა მანეთი. ყაჩაღების შესაპყრობად ტფილისიდგან გაჰგზავნეს ჩაფარი, რომელმაც ერთი მათგანი შეიპყრო. შეპყრობილი სპარსეთის ქვეშევრდომი ალი-ველი-ოღლი აღმოჩნდა.

⁂ პეტრე-პავლეს ქუჩაზედ მცხოვრებმა დ. ქავთარაძემ განაცხადა პოლიციაში, რომ 15 ნოემბერს, ღამე, ვიღაც ქურდებმა ჩემი სამზვარეულოს კარები გასტეხეს და სხვა და სხვა ავეჯი წაიღესო. პოლიციამ უკვე აღმოაჩინა ქურდები: ტფილისის მოქალაქე გ. აექსიევი, ერევნის მცხოვრებელნი ა. ავეტისოვი და ო. მხეევი და 16 ნოემბერს სამართალს გადასცა.

⁂ 17 ნოემბერს რკინის გზის მატარებელი რომ ალიათის სადგურზედ მივიდა, მესამე კლასის ვაგონში ჰნახეს ვიღაც მკვდარი თათრის გვამი. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ თათარი რაღაც ავადმყოფობისაგან მომკვდარა დუვანისა და ალიათის სადგურებ შუა.

⁂ ქუთაისიდგან იუწყებიან, რომ რკინის გზის ღიანდაგის მე-95 ვერსზე მიწა ჩამოწვა და ქვეშ მოიტანა მუშები ივანე ღონღაძე და კონსტანტინე მიშტიძე(?). ღონღაძეს მკლავი და წელი დაუშავდა, ხოლო მეორე მცირეოდნად არის დაშავებული. ორთავენი ტფილისში გაჰგზავნეს რკინის გზის სამკურნალოში.

⁂ მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ამას წინად პეტერბურგიდგან სამინისტროს მიერ გამოგზავნილი განსაკუთრებული კომისია წავიდა ატენში საქონლის ჭირის წინააღმდეგ ასაცრელ წამლის გამოსაკვლევად და იმის გასაგებად, თუ რამდენად მარგებელია საქონლისათვის აცრა. კომისიამ ამ საქმისათვის 300 სულ საქონელი შეიძინა და აუცრა მათ ჭირი. აცრილი საქონელი სხვა აუცრელ ჭირიან საქონელთან ერთად იყო, მაგრამ მათ ჭირი მაინც არ გადაედოთ. რომ უფრო დაჭეშმარიტებით გამოეკვლიათ, რამდენად უზრუნველ ჰყოფს ჭირისაგან საქონელს აცრა, აცრილ საქონელს ფეხში შეასხურეს ჭირიანი საქონლის სისხლი, მაგრამ ჭირი არც მაშინ გადაედოთ. ამ რიგად ამ გამოცდამ დაამტკიცა, რომ აცრილ საქონელს ჭირი ვეღარაფერს ავნებს. იმის გამოსაკვლევად, დიდ ხანს გასტანს აცრა თუ არა, აცრილ საქონელს დაურიგებენ ადგილობრივ გლეხებს და მონასტრებს იმ პირობით-კი, რომ მათ ნება მრ ექმნებათ ეს საქონელი ორის წლის განმავლობაში სხვაგან სადმე წაიყვანონ. ამასთან თუ რომელსამე მათგანს ჭირი აღმოაჩნდა ვალდებულნი არიან აცნობონ ეს ამბავი ადგილობრივ ბეითალს. ორის წლის შემდეგ საქონელი მათ უსასყიდლოდ დაეთმობათ.

წერილი თელავიდგან

5 ნოემბერი

დიდი ხანია პედაგოგიამ შეიტანა სასწავლებლებში მოსწავლეთა სეირნობა სხვა-და-სხვა აზრით. სეირნობის ნაყოფიერება თითქმის ყველა სასწავლებელმა გამოსცადა, სასულიერო სასწავლებლების გარდა, თუმცა სასულიერო სასწავლებლებს უფრო მეტი საბუთი აქვთ ისარგებლონ ამ სასიამოვნო და ნაყოფიერ პედაგოგიურ საშუალებით. ჯერ მარტო შესანიშნავის მონასტრების და ძველის ტაძრების ადგილობრივ დათვალიერება და გაცნობა საკმაო საბუთია იმისი, რომ სეირნობა შეტანილ იქმნას სასწავლებლის ცხოვრებაში. ამიტომ სასურველია სასულიერო სასწავლებლებმა შემოიღონ სეირნობა ისევე, როგორც სხვა სასწავლებლებს აქვთ უკვე შემოღებული.

თელავის სამოქალაქო სასწავლებელი წელიწადში ორს-სამს და ხან მეტჯერაც ჰმართავს სეირნობასა და ყველანი მადლობელნი არიან.

წელს თელავის სასულიერო სასწავლებელმაც გამართა სეირნობა. ამ სეირნობის მთავარი მიზეზი საქართველოს მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი თ. გ. ს. გოლიცინი ბრძანდებოდა, რომელმაც თავისის თელავში ყოფნის დროს მოსწავლეთ აჩუქა ხილის ფულად 50 მან. სასწავლებლის მთავრობამ არჩია სეირნობა გაემართა შუამთის მონასტრის გასაცნობად და ეს მთავარ-მართებლის საჩუქარიც მოეხმარებინა მოსწავლეთათვის. მაგრამ იმ ხანებში ამოვარდა ქარი, სიცივე დაიჭირა და ამან დააბრკოლა ამ განზრახვის სისრულეში მოყვანა. 3 ნოემბრიდამ ისევ თბილი დღეები დაიჭირა და სასწავლებლის ზედამხედველმა ბ მა პავლე პეტრეს ძე სოგინმა ისარგებლა ამ თბილის დღეებით, დანიშნა სეირნობის დღედ 5 ნოემბერი. მარტო თვალით მნახველი წარმოიდგენს იმ აუწერელს სიხარულს, რომელიც იხატებოდა მოსწავლეთა სახესა და თვალებში, როცა ეს ამბავი გამოეცხადათ. 5 დილა მშვიდობიანი და თბილი იყო. მოსწავლეთ დილის მერვე საათზედ მოიყარეს თავი სასწავლებელში და აქედგან დარაზმულნი ზედამხედველის თანაშემწის ბ ნ მარშაკის, აღმზრდელთა და სხვა მასწავლებელთან ერთად გაუდგნენ შუამთის გზას. თანორის ცხენის ურმით მიჰქონდათ მოსწავლეთათვის სანოვაგე, თელავშივე დამზადებული, და სხვა-და-სხვა ხილი.

თერთმეტ საათზედ შუადღის ლოცვის შემდეგ გარდიხადეს სამადლობელი პარაკლისი, რომლის დროსაც გალობდა მოსწავლეთა გუნდი ბ-ნი ნ. სულხანიშვილის ლოტბარობით.

პარაკლისის შემდეგ მოსწავლენი წაიყვანეს ძველის შუამთის სანახავად, რომელიც აწინდელის ტაძრიდგან ერთის ვერსის მანძილზეა და გზა დიდ ტყეს შუა მიდის, ხევის პირად. ორასამდის მოსწავლე გალობით გაემგზავრა და დასტკბებოდით, რომ გაგეგონათ, როცა იმათი გაორკეცებულ-გასამკეცებული გალობა გამოისმოდა ტყესა და ხევს შორის. გასინჯეს და გაიცნეს ძველი შუამთა და იქიდგან დაბრუნებულ მოსწავლეებს, მცირე დასვენების შემდეგ, სადილი აუტანეს. სადილს მოჰყვა ხილი და თამაშობა. საღამოზედ წამოვიდნენ და დიდად ნასიამოვნებნი დაბრუნდნენ სახლში.

არა მგონია, თავისს სიცოცხლეში დაივიწყონ მოსწავლეებმა ეს სეირნობა და მთავარი მიზეზი მისი საქართველოს მთავარ-მართებელი.

ნადიკვრელი

რუსეთი

გაზეთების სიტყვით, საერო განათლების სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ გაფართოებულ იქმნას რეალურ სასწავლებლების პროგრამა. აზრადა აქვთ სავალდებულოდ გაჰხადონ ინგლისურის ენის სწავლება.

— პერმის გუბერნიის ოცდახუთმა სოფლის საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ ამ სოფლებში კვირა-უქმე დღეებში აღკრძალულ იქმნას არყით ვაჭრობა. ფინანსთა სამინისტრომ არ შეიწყნარა ეს თხოვნა სავსებით: ნება დართო მხოლოდ არყით ვაჭრობისა კვირა-უქმე დღეებში ნაშუადღევის პირველ საათიდგან 6 საათამდე.

— რადგანაც მრავალმა რევიზიამ გამოარკვია, რომ სწავლის საქმე ბავშვთა თავშესაფარებში კარგად არ არის დაყენებული, „С. От.“ სიტყვით, აზრადა აქვთ ზოგიერთ ითავშესაფარი სახელოსნო სკოლად გადააკეთონ.

— მთავრობამ განმარტა, რომ იმ ქალაქების მამასახლისებს, სადაც მარტივი თვით-მართველობაა შემოღებული, შეუძლიანთ რწმუნებულთა კრების მიერ გადადებულის ფულით დაიქირავონ საქმის-მწარმოებელნი.

— „Нов. Вр.“ სიტყვით, მიწად-მოქმედების ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილ იქმნა განსაკუთრებული თანხაც სასოფლო-სამეურნეო კურსების გასამართავად სოფლის სკოლების მასწავლებელთათვის და იმ მასწავლებელთ დასაჯილდოვებლად, რომელნიც მუყაითობას გამოიჩენენ სასოფლო-მეურნეობის სწავლების საქმეში.

— სახელმწიფო საბჭომ ნება დართო შინაგან საქმეთა სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროსთან მოლაპარაკების შემდეგ. დაამტკიცოს და შესცვალოს ხოლმე [illegible] საურთიერთო დამზღვევ[illegible] ზოგადოებათა წესდებანი.

— სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან: სათეატრო საზოგადოების საბჭომ შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ სათეატრო საზოგადოების და იმასთან არსებულის ფონდის სასარგებლოდ თეატრის ბილეთებს განსაკუთრებული გადასახადი დაედოსო.

უცხოეთი

კრიტი. 11 ნოემბერს რუსეთის ელჩი კონსტანტინეპოლში, ზინოვიევი, უნახულებია ოსმალეთის ხონთქარს. ელჩს განუცხადებია მისთვის, რომ 4 დიდმა სახელმწიფომ საბერძნეთის ბატონიშვილი გიორგი აირჩია კრიტის მმართველად და იგი ჩქარა უნდა წავიდეს კუნძულზედო. თუ თქვენი სურვილი იქნებაო, დაუმატებია ზინოვიევს, ბატონიშვილი კრიტში წასვლამდე აქ, კონსტანტინეპოლში, მოვაო. ხონთქარს არაკითარი სწორი პასუხი არ მიუცია ელჩისთვის, მხოლოდ საუკეთესო ურის კეთილი უთქვამს, რომ 4 სახელმწიფოს მოქმედება ამ შემთხვევაში უკანონო არისო.

ოსმალეთის ჯარების გაუკანისთანავე, კანდიაში ოსმალურს ენაზედ გაზეთი დაარსდა, რომელსაც ეწოდება „შეტანეტა“ (შეურყეველობა, რეგიანობა). ამ გაზეთის რედაქტორად ვიღაც ბერბეი ბუნტიზადე არის, რომელსაც საფრანგეთში მიუღია განათლება და ძველ კარგი მეგობრობა აქვს ისმაილის ჯარის უფროსთან კანდიაში, ჩერმსაიდთან. წინაზედ ბერბეის თუნისში უმსახურნია ერთს ბანკში. იგი წავრია ოსმალეთის ასალ ბოლიტიკურის დასისა და ამიტომ ფიქრობენ, რომ კრიტი ამის შემდეგ საბუდარი გახდება ზემოხსენებული დასის წევრთა, რომელთაც, ვითარცა რეკოლიუციონერებს, აზრად აქვსთ ოსმალეთის ესლანდელი წეს-წყობილება დაამხონო. ათინის გაზეთები ძლიერ სწუხან ამის გამო და ამბობენ, რომ კრიტის მთავრობამ ღონისძიება უნდა მიიღოს ამ დასის წინააღმდეგო. ათინელ გაზეთების სიტყვით, კრიტელებისთვის, რომელნიც ეს-ეს არის განთავისუფლდნენ ოსმალეთის მონობისაგან, არ ივარგებს ოსმალეთის მოწინააღმდეგეთა საქმეებში გაერიონ და ამიტომ კინტ ამ რიგად არ მოიქცევა, ე. ი. ოსმალეთის საქმეებში გაერევა, უთუოდ კრიტიდგან უნდა იქმნას გაძევებული.

ასალი გაზეთი „მეტანეტი“-კი ჯერ ერთობ თავდაჭერილია და ოსმალეთის წინააღმდეგ ერთი სიტყვაც არა უთქვამს-რა. იგი მხოლოდ ურჩევს კრიტის მაჭმადიანთ—კრიტს თავს ნუ დანებებთ და ოსმალეთში ნუ გადასახლდებით, რადგან ასალ მთავრობის ხელში უფრო უშიშრად და გულდამშვიდებით შეგიძლიათ ცხოვრებაო.

მაკედონია. რაც დღე გადის, მაკედონია თანდათან იქცევს ევროპის ყურადღებას და ამის გამო, როგორც სჩანს, ოსმალეთის მთავრობამაც უარები აცემინა და ამ ქვეყნის მდგომარეობას ჩაუკვირდა.

ამ დღეებში, როგორც იუწყებიან ოსმალეთის მინისტრებს კრება ჰქონიათ, რომელზედაც შეახ-ულ-ისლამს (სასულიერო წოდებისა და საქმეების

უფროსს) მაკედონიის შესახებ ულაპარაკნია. მთავრობის კალია, უთქვამს მას, დაუფიქრებლივ დონისძიება რამ იხმაროს მაკედონიაში საჭირო ცვლილებათა შემოსაღებათო. შეახ-ულისლამის სიტყვა უგულს დიდის ურადღებით მოუსმენია და მისი თანხმა გამხდარან გარეშე საქმეებისა და სამხედრო მინისტრები.

ის ხმები, რომ მაკედონიაში ოსმალეთის მოავრობა ამბრების ცვლილებათა შემოღებასო, არაფრად მოეწონად მაკედონიის კომიტეტის წევრთ ბოლგარიაში. იმათ იმედი ჰქონდათ თურმე, რომ მაკედონიის საქმეებში ევროპის სახელმწიფონი ჩარევიან და ამით ჩვენ კისარგებლებთო, მაგრამ ესლა ოსმალეთის მოქმედებამ სულ ერთიან დაარღვია მათი განზრახვა. ოსმალეთმა თავისით განიზრახა მაკედონიის საქმეების გუმეობესება, თუ სხვისი ჩაგონებით, ძლიერ გონიერულად მოიქცა. ევროპის სახელმწიფონი რომ ჩარეულიყვნენ მაკედონიის საქმეში, ცხადია, ოსმალეთს აქაც იგივე დღე დაადგებოდა, რაც კრიტში. მეორეს მხრივ, ოსმალეთმა თუ მართლა შეასრულა თავისი განზრახვა, ე. ი. თუ მართლა შემოიღო მაკედონიაში ცვლილებანი, ევროპა დიდი მადლიერი გაუხდება ამისთვის, რადგან ევროპას ამით თავიდგან აშორებს სადავიდარაბო საქმეს. რადა თქმა უნდა, ბოლგარიის მთავრობასაც ძლიერ ესიამოვნება ეს, რადგან ჯერ ის მომზადებული არ არის მაკედონიის საქმეებში ჩარიოს ისე, რომ გამარჯვების იმედი ჰქონდეს. ჰფიქრობენ, რომ მხოლოდ მაკედონიის ქრისტიანებს არ გაუხარდებათ, მართლა თუ ოსმალეთი დაადგა ცვლილებათა შემოღების გზას, რადგან იმათ უკვლა იმედი უნდა დაჰკარგონ მაკედონიის განთავისუფლებაზედ ოსმალეთისაგანო.

—

ამერიკა და ინგლისი. ინგლისამერიკის კავშირის შესახებ კაშინგტონიდგან იუწყებიან, რომ სამართლეს მოკლებულია პარიეში გავრცელებული ხმები, ვითომც ჩუმბერლენს თან წაედოს ინგლისში ხელშეკრულობის პროექტი. ინგლისსა და ამერიკის ერთმანეთთან შეთანხმება ისეთი დიდი საქმეა, რომ ჯერ დრო არ დამდგარა იმათ შორის ხელშეკრულობა დაიდოსო. აქამდის მხოლოდ ის გაკეთდა, რომ ორსავე სახელმწიფოს მეთაურებმა შეიგნეს, რომ ინგლისისა და ამერიკის ინტერესები მომეტებულ ნაწილად ერთია და იგივეა და ორთავენი მაშინ მიაღწევენ თავიანთ მიზანს, რაცა ერთმანეთის თანხმობით იმოქმედებენო.

დამაკვირდი

ყველა ნაღვერდლისაკით ცხელი უნდა იყოს, ტარტაროზისაკით—შავი, ანგელოზისაკით—წმინდა და სიყვარულისაკით—ტკბილი.

ტალეირანი

* * *

უგუნური კაცი ერთს დამს გაფლანგავს იმას, რაც მთელის წლის განმავლობაში შეუძენია.

სიული პრიუდომე

* * *

სვინიდისისა დაცხრომასა ეკრძალე.

ნიკოლოზ ტფილელი

ᲔᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲒᲐᲜ

(ამოკრებილი ამბები)

იაპონიის ქალაქ ტოკიოში, იოკოინის ტაძარში წელიწადში ორჯერ იმართება ჭიდაობა, მაისში და ნოემბერში. ჭიდაობის დღეს ტოკიოს მცხოვრებლებს დიდი აღელვება ეტყობათ. აუარებელი ხალხი მიაწყდება ხოლმე იოკოინის ტაძარს, რომელიც ამ დროს მორთულია სხვა და სხვა ფერის ბაირაღებით. ბაირაღებს ზედ აწერია განთქმულ ფალავნების სახელები.

საჭიდაო ასპარეზი გამართულია დიდს მოედანზე. გარშემო სკამებია მაყურებლებისათვის ისე, როგორც ცირკში. სკამებზე ბალიშები აწყვია. იმ ადგილას, სადაც ფალავნები ჭიდაობენ წვრილი ქვიშაა დაყრილი.

ჭიდაობის გამგე გამოაცხადებს ფალავნების სახელებს და ისინიც გამოდიან მოედანზე, ერთი სამხრეთისა და მეორე დასავლეთის მხრიდგან.

ხალხი დიდის ყურადღებითა და აღელვებით ადევნებს თვალს მოჭიდავეთ. ხშირად მოჰხდება ხოლმ ე,რომ ჭიდაობით აღელვებული იაპონელი თავისს მეზობელს დაუწყობს ხოლმე ჭიდაობას.

გამარჯვებულს ფალავანს ხალხი აღტაცებულის ყვირილით მიეგებება ხოლმე. ზოგი თამბაქოთი სავსე ქისას გადუგდებს გამარჯვებულს მოჭიდავეს, ზოგი ზევითა ტანთსაცმელს. აღელვებული იაპონელები ერთმანეთს ქუდებსა ჰხდიან, ხელიდგან მარაოს ართმევენ და ისვრიან მოედანზე. ყველა ეს გამარჯვებულს ფალავანს ეკუთვნის. მოაგროვებს და ფულად აქცევს.

* * *

ინგლისელებს ძლიერ უყვართ მებადურობა და ეს საკვირველიც არ არის. ინგლისელი განათლებული კაცია და კარგად იცის, რომ დიდხანს ყოფნა წყლის პირას, სუფთა ჰაერზე სასარგებლოა ჯანის სიმრთელისათვის. უკვე დამტკიცებულია, რომ ვინც ზღვაში ან ზღვის პირას ატარებს სიცოცხლეს, გაცილებით ჯან-საღი ადამიანია. განსაკუთრებით შეუძლიან ასეთმა კაცმა დაიკვეხოს მშვენიერის მხედველობითა და სმენით, რომელიც სიბერემდე არ უსუსტდებათ. ისეთს ზღვაოსანს ვერსად ჰნახავს კაცი, რომ ან სათვალეებს ხმარობდეს ან ყურთა-სმენა ჰქონდეს დაკლებული. აგრედვე მშვენიერი ყნოსვა აქვთ ზღვაოსნებს. ყოველივე ეს, რაღა თქმა უნდა, მშვენიერის ჰაერის წყალობა უნდა იყოს. მშვენიერისავე ჰაერის ბრალია, რომ ზღვაოსანთა შორის ჭლექიანს კაცს ვერ შეჰხვდება ადამიანი. ამასთანავ ზღვაოსნებს კარგი მადა აქვთ და მუდამ მხიარულნი და ჯანმრთელნი არიან. საღის ჯანისანი არიან თურმე აგრედვე მებადურნიც.

* * *

ბრუკლიდგან (ამერიკაშია) სწერენ ევროპის ჟურნალ-გაზეთებს, რომ პროფესორს ლენგლისა და ალფრიდ ვატკონს გუმართავთ ფრთებიანი მანქანა, რომელსაც რკინის გზის ვაგონი საოცარის სისწრაფით დაჰყავს. მანქანა კიდეც გამოსცადეს პენსილვანიის რკინის გზაზე და ძლიერ კარგი აღმოჩნდა. უწინ პროფესორმა ლენგლიმ გამოაცხადა—ჰაერში საფრენი მანქანა გამოვიგონეო. მაგრამ ეს მანქანა ვერაფრად გამოსადეგი აღმოჩნდა. ეხლა-კი, რაკი ასეთი ძალა ჰქონია ლენგლის მიერ გამოგონილს ფრთებიანს მანქანას, იმედია, რომ ჰაერში საფრენ მანქანასაც ეშველება რამე.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

17 ნოემბერი

პეტერბურგი. უწმიდესი სინოდი შემდეგს აზრს დაადგა: იმ მღვდლებს, ვინც შტატ გარეშე დარჩა უმაღლესის ბრძანების გამოცხადებამდე და ვისაც მღვდელ-მსახურება აკრძალული არა ჰქონდა, უფლება ჰქონდეთ ატარონ 1896 წლის 20 აპრილის დამტკიცებული გულზედ ჩამოსაკიდი მერცხლის ჯვარი.

შავის ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველად დაარსებული კომისია აცხადებს, რომ ანზობში, რომელსაც ეხლაც კარონტონი არტყია, შავის ჭირით ავად აღარავინ გამხდარა 28 ოქტომბრიდგან; ვინც-კი ბოლო დროს ავად იყვნენ, ყველანი განიკურნენ.

პეკინი. რუსეთის ჯარი კანგ-სუში შევიდა.

რუსეთის ელჩის გირსის მოსვლას ისე უყურებენ როგორც უფრო ზომიერის პოლიტიკის ნიშანს. ბოლო დროს რუსებმა ბევრი იშრომეს პორტ-არტურისა და ტალიენვონის გამაგრებისათვის. საზოგადოდ ისე ჰფიქრობენ, რომ ციმბირის რკინის გზის გათავებამდე რუსეთი მშვიდობიანობის პოლიტიკას უნდა მისდევდესო.

პარიეში. დრეიფუსის მეუღლემ შემდეგი დეპეშა მიიღო ქმრისაგან: „ყველა თქვენთან მეც ერთადა ვარ მოხარული კარგადა ვარ ხორციელადა და სულიერადაც“.

„რაპპელ“-ში დეპეშაა დაბეჭდილი ამსტერდამიდგან. სწერია, რომ იქ ესტერგაზი მისულა და სხვის გვარი დაურქმევია თავისს თავისთვის.

ცურლინდენის საპასუხოდ იგივე გაზეთი ამბობს, ტყუილია ცურლინდენის სიტყვები, ვითომ დრეიფუსის საქმის შესახებ არავისაგან არ მიუღია ბრძანებაო და ამტკიცებს, რაც პიკარის საქმე დაიწყო, სამხედრო გუბერნატორს მუდამ ბჭობა აქვს კავენიაკთანა. დერულედთან და პატი-დიუ-კლამთანაო. ცურლინდენს ჯერ არ უნდოდა პიკარის განსამართლებაო, დასძენს იგივე გაზეთი, მაგრამ მერე სხვების რჩევას აჰყვა და იმიტომ კვლავ გადასწყვიტა სამართალში მიცემა პიკარისა.

ლონდონი. რეიტერის სააგენტო დაბეჯითებით ამტკიცებს, სრულიად საბუთსა მოკლებულია შანჰაიდგან გავრცელებული ხმები, ვითომ ჩუზანის კუნძულებზე ინგლისელებმა თავიანთი დროშა ამართესო.

იგივე სააგენტო იუწყება, რომ ინდოეთის საქმეთა სამინისტროს ამბავი მოუვიდა, რომ გადის მოლლამ სვატის ხეობაში კვლავ მიჰყო ხელი სამტრო მოქმედებას და ამიტომ საჭიროა გაიგზავნოს იქ ინგლისელთა ჯარიო.

პარიეში. ესპანია-ამერიკის კომისიის კრება დაიწყო ნაშუადღევის 2 საათზე. 2³/₄ საათზე ესპანიელებმა შეიწყნარეს ამერიკის მოთხოვნილება შესახებ იმისა, რომ ესპანიამ უარი სთქვას ფილიპეს კუნძულებზე და სულუს არქიპელაგზე. ესპანიას სამაგიეროდ მიეცემა 20 მილლიონი დოლლარი.

პარიეში. პალატა. დიდი კამათობაა პიკარის საქმის შესახებ. კამათობაში მონაწილეობა მიიღეს დიუპუიმ, ფრეისინემ, კავენიაკმა, პუანკარემ, მილიერანმა და სხვებმა. მთავრობამ გადასწყვიტა არავინ გაერიოს პიკარის საქმეში და თვით პიკარი სამხედრო სასამართლომ გაასამართლოსო. კრება მიემხრო მთავრობას 437 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 73 ხმისა.

ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ *)

ტფილისის სასოფლო სამეურნეო საურთიერთო კრედიტის საზოგადოებისა.

1 ნოემბრისათვის 1898 წლისა.

ᲐᲥᲢᲘᲕᲘ.

	მან.	კაპ.
I. კასსა (სახელმწიფო საკრედიტო ბილეთები) . .	11586	88
II. მიმდინარე ანგარიშები: ტფილისის საკომერციო ბანკში	4091	30
III. „ „ „ა. ფრიდონოვისა და ამხ.“ საბანკო კანტორაში	39000	—
IV. სარგებლიანი ქაღ., საზოგადოების საკუთვნონი.	1000	—
V. სარგებლიანი ქაღალდები, სათადარიგო თანხის საკუთვნონი	2317	25
VI. განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცს უწერია ხელი	195595	—
VII. გირაოთი გაცემული სესხი:		
ა) სახელმწიფოს და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ. ფას. ქაღალ. . . . 2636— 82		
ბ) არა-უზრუნველ-ყოფილ ქაღალ. 8699— 20		
გ) საქონელზედ . . . . . 15944— —		
დ) სასოფლო სამეურნეო ნაწარმ. 3193— 65	30473	67
VIII. დასაბრუნებელი ხარჯი	173	12
IX. მოწყობა-მომართვა	887	32
X. გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღალდი .	261	73
XI. სხვა-და-სხვა დებიტორები	370	48
XII. მიმდინარე ხარჯი	7593	13
XIII. პროტესტში წასული თამასუქები	605	—
სულ	293954	88

ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲘᲕᲘ.

		მან.	კაპ.
I. თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 649 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრ ფულიდგან.		69871	—
II. სათადარიგო თანხა (შემდგარია 1898 წელს).		2413	88
III. შემოტანილი ფული:			
ა) მიმდინარე ანგარიშით . . .	110738—14		
ბ) ვადით	93130——		
გ) უვადოდ	1800——.	205668	14
IV. გარდასაცემი თანხა		1793	04
V. გარდასახდელი სარგებელი		328	98
VI. სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა		37	02
VII. მიღებული სარგებელი, გარდახდილს გარდა . .		13202	85
VIII. წევრთა მიერ შემოტანილი და უკან არ-მოთხოვნილი საზოგადოების წესდების მე-12 და 13 §§-ის თანახმად		500	—
IX. მოგებისა და ზარალის ანგარიში		139	97
სულ		293954	88
პასუხის-მგებლობა 649 წევრისა 10%-იან შემოსატანს გარდა		628839	—
საზოგადოებას აქვს გარდაცემული შესანახად ქონება		3900	—
თამასუქები საკომისიოდ		950	—

(1—ნ.—1)

საზოგადოება იხდის: მიმდინარე ანგარიშზედ შემოტანილ ფულისას 3%, უვადოდ შემოტანილისას—2%, 6 თვის ვადით შემოტანილისას—4%, წლისა და მეტის ვადით—5½%; **ახდევინებს:** თამასუქის განაღდებით ექვსის თვის ვადამდე გაცემულ ფულისას—9½%, ვადიან ქაღალდებისა, კუპონებისა და სხვათა განაღდებით გაცემულ ფულისას—6%, სესხით გაცემულისას: ა) %-იან ქაღალდზედ 6%. ბ) საქონელსა და სასოფლო ნაწარმოებზედ—9%, თუ საგანკებო მიმდინარე ანგარიშით არის გატანილი და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილის ქაღალდების გირაოზედ—7%, არა-უზრუნველ-ყოფილ ფასიან ქაღალდების გირაოზედ—7½%, თამასუქების გირაოზედ—9½%-ს.

*) „ივერიის“ გუშინდელს ნომერში ეს ანგარიში შეცდომით დაიბეჭდა.

Дозволено цензурою, Тифлисъ 17 го Ноября 1898 г

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე